ოქმი:**ო63. 63223483**
თარიღი:**14/12/2022**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 59

ქ. სამტრედია. 12 დეკემბერი, 2022 წელი.

2022 წლის 12 დეკემბერს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, ვაჟა სტურუას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიიდან საკრებულოში შემოსული წერილობითი მომართვების განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ვაჟა სტურუა/

2. სხვადასხვა.

კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26–ე მუხლის მე–2 პუნქტის ,,ა“–ქვეპუნქტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის მერი ითხოვს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევას, რათა საკრებულომ განიხილოს და მიიღოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული წერილობითი მომართვა.

1. **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 9 დეკემბრის** N62-622234363, წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ა.(ა).ი.პ.-ებისა და შ.პ.ს.-ების 2023 წლის ბიუჯეტის პროექტებს საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების საკითხს.

1. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება.

2. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება.

3. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგაბაღების) გაერთიანება.

4. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი .

5. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი.

6. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა.

7. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საფრენბურთო კლუბი " ჯიკო".

8. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელბურთელთა კლუბი "სამტრედია".

9. შ.პ.ს. სპორტული კომპლექსი „სამტრედია".

10. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი "ფალავანი".

11. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის დ.შანიძის სახ. N 1 სახელოვნებო სკოლა.

12. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის N 2 სამუსიკო სკოლა .

13. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლა.

14. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა. .

15. ა.(ა).ი.პ. სამტრდიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა.

16. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის სამუსიკო სკოლა.

17. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა.

18. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება.

19. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის „ე.მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი „.

20. შ.პ.ს. ,,სამტრედიის მაცნე" .

21. ა.(ა).ი.პ. სამტრდიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი.

22. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის "საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი".

23. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის "სათნოების სახლი''.

24. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,სახლი თანადგომა''.

25. ა.(ა).ი.პ. რაგბის გუნდი ,,ფენიქსი“.

(მომართვის N62-622234363, 09/12/2022 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-63223439-63, 09/12/2022 წ.**)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია.

2. **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 9 დეკემბრის** N 62-622234365 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება ,,სამტრედიის მუნიიალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2023 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამა და სოციალური დახმარების გაცემის წესი''-ს ''(დანართი No1) და ,,2023 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის ღონისძიებათა ხარჯები"-ის (დანართი No2) პროგრამის კორექტირებულ პროექტს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების საკითხს.

(მომართვის N 62-622234365, 09/12/2022 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-63223438-63, 09/12/2022 წ.**)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიებად ერთობლივად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტო და შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიები.

3. **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 9 დეკემბრის** N 62-622234362 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მეორე წარდგენას.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი პირველ წარდგენასთან შედარებით გაზრდილია 709.5 ათასი ლარით და შესაბამისად ბიუჯეტის პროექტი თანდართულ მასალებთან ერთად წარმოდგენილია 22,890.5 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული ზრდა გამოწვეულია რიგი ფაქტორებით, კერძოდ: საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილი „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, საქართველოს კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტის საფუძველზე გადამუშავებული ფისკალური პროგნოზების შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში გაიზარდა მიზნობრივი ტრანსფერი 145.0 ათ. ლარით და შეადგენს 375.0 ათ. ლარს. შესაბამისად, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი მიიმართოს:

ა) ”საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ ”, საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 129.0 ათასი ლარი;

ბ) ”სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახე ბ” და ,, სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ”, საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 245.7 ათასი ლარი;

გ) ”სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ”, საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 0,3 ათასი ლარი. ასევე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი გაიზარდა 564.5 ათ. ლარით და შეადგენს 17 254.8 ათ. ლარს. აღნიშნულიდან მიემართა 480.0 ათ. ლარი, (სპეცტექნიკის შესაძენად) და შესაბამისად გაიზარდა კოდი 03 03 დასუფთავების არაფინანსური აქტივების გეგმა.

რაც შეეხება თქვენი 2022 წლის 25 ნოემბრის N63-632232914 მომართვის პასუხად, რომელშიც ასახულია სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო საკითხთა კომისიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის, შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიების გაერთიანებული სხდომისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების მიერ წარმოდგენილი 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში გასათვალისწინებელი წინადადებები და ასევე, სამტრედიის მერიაში შემოსული მომართვების შესაბამისად, გათვალისწინებულია რიგი წინადადებები, კერძოდ:

1. ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის დამსახურებულ მწვრთნელ-მასწავლებლებს მოუწესრიგდათ თანამდებობრივი სარგო დარგის ხელმძღვანელის მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და შესაძლებლობის ფარგლებში. შესაბამისად სუბსიდიის გეგმა გაიზარდა - 8,5 ათ. ლარით;

2. ა(ა)იპ საფრენბურთო კლუბი „ჯიკო“-ს ფრენბურთელებისთვის განხორციელდება ეპიკირების შეძენა და შესაბამისად სუბსიდიის გეგმა გაიზარდა - 4,2 ათ. ლარით;

3. ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანის დამსახურებულ მწვრთნელ-მასწავლებლებს მოუწესრიგდათ თანამდებობრივი სარგო დარგის ხელმძღვანელის მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და შესაძლებლობის ფარგლებში. შესაბამისად სუბსიდიის გეგმა გაიზარდა - 4.5 ათ.

ლარით; რაც შეეხება სტიპენდიის დანიშვნას არამარტო საქართველოს ჩემპიონებს უფროსებს შორის, არამედ საქართველოს ვიცეჩემპიონებს, აღნიშნული საკითხი გავლილი იქნა დარგის ხელმძღვანელთან, რომლის განმარტებითაც ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანს აქვს შესაბამისი ფონდი და განხოციელებისთვის საჭიროებს წესდებაში ცვლილებას.

4. სოციალური პროგრამის 2023 წლის ბიუჯეტში მე-13 მუხლის მე-2 პუნქტში ცერემბრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა (18 წლამდე) ყოველთვიური ფინანსური დახმარება ნაცვლად 50 ლარისა, განესაზღვროთ 100 (ასი) ლარის ოდენობით. შესაბამისად, გაიზარდოს კოდი 06 02 04 სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარებების სოციალური უზრუნველყოფის გეგმა - 25.0 ათ. ლარით.

5. მხედველობა და სმენადაქვეითებულ ბავშვებისთვის, რომლებიც სწავლობენ სპეციალურ სკოლაში რაიონის ფარგლებს გარეთ (კერძოდ ქუთაისში), მათი ტრანსპორტირების საკითხი საჭიროებს შესწავლას.

6. სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით მერიას გათვალისწინებული აქვს სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებთან მისასვლელი გზებისა და ღობეების მოწყობის ღონისძიებებითვის 150.0 ათ. ლარი.

7. ბინათმშენებლობის დაფინანსების გაზრდასთან დაკავშირებით, ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია 190,0 ათ. ლარი. გარდა ამისა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიას გამოცხადებული აქვს ტენდერი ქ. სამტრედიაში ლაშა თევზაძის N2 და N4 ბინების ფასადისა და სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოებზე, სულ ღირებულებით 556.2 ათ. ლარი, რომელიც არის გარდამავალი პროექტი და აღნიშნული დაზუსტდება 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანისას.

8. უსახლკაროთა დახმარების მიზნით, რომელიც გულისხმობს დაახლოებით 10 გაჭირვებული ოჯახისთვის საცხოვრებელი ფართის შეძენას, აღნიშნულ საკითხზე დარგის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი მომართვის მიხედვით ამ ეტაპზე მიმდინარეობს სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების მოძიება-შესწავლა.

9. გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის დაფინანსება გაიზარდა 13.0 ათ. ლარით;

10. სხვადასხვა სპორტული სერვისების მისაღებად სამტრედიის მუნიციპალიტეტის გაღმა ზონის სოფლებიდან ახალგაზრდების ქალაქში ტრანსპორტირების პროგრამასთან დაკავშირებით, საკითხი საჭიროებს შესწავლას და შესაბამისი დარგის მიერ წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით ეტაპობრივად გათვალისწინებული იქნება 2023 წლის განმავლობაში ბიუჯეტში ცვლილების შეტანისას.

11. რესპუბლიკის ქუჩის (N3 საჯარო სკოლის მიმდებარედ) ტროტუარის მოწესრიგებასთან დაკავშირებით შესაბამისი პროექტის შეძენის შემდგომ გათვალისწინებული იქნება 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანისას.

12. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ერთეულის დამატებასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 155 1 -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მაკროეკონომიკური პარამეტრების მაქსიმალური ზღვრების დასაცავად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით დააწესოს ლიმიტები ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ძირითად

პარამეტრებთან დაკავშირებით. „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, საქართველოს კანონის პროექტის 26-ე მუხლისა და ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების მიხედვით, მხარჯავი დაწესებულება უფლებამოსილია 2023 წელს ხარჯი, მათ შორის, შრომის ანაზღაურების ხარჯი გაზარდოს მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზირებული ნომინალური ზრდის პროცენტული მაჩვენებლით 10.3%-ის ფარგლებში. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, როგორც მერიის, ასევე საკრებულოს შრომის ანაზღაურების ხარჯი იზრდება 10%-ით, თანამდებობრივი სარგოების 10%-ით გამო. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკრებულოს აპარატის ერთი საშტატო ერთეულით გაზრდა გამოიწვევს საკრებულოს შრომის ანაზღაურების ხარჯის 10.3%-ზე მეტით გაზრდას, რაც არ შეესაბამება „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, საქართველოს კანონის პროექტის 26-ე მუხლსა და ძირითად ეკონომიკურ და ფინანსურ ინდიკატორებს.

13. ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანებას დაემატა 1 (ერთი) საშტატო ერთეული - ფსიქოლოგი, (თანამდებობრივი სარგო 600 ლარის ოდენობით).

14. ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებას დაემატა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურების ფონდი წყლის სისტემების მოვლის მიზნით, ასევე, დაემატა 2 საშტატო ერთეული კეთლმოწყობის საკითხებში, რომელიც უზრუნველოფს ახალი ინსფრასტურქტურის მოვლა-პატრონობას და შესაბამისად სუბსიდიის გეგმა გაიზარდა - 55.2 ათ. ლარის ოდენობით.

15. კოდი 06 02 04 სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარებებში წითელი ჯვრის დაფინანსება წარმოდგენილი იყო 45.5 ათ. ლარით, რომელიც გაიზარდა - 11.5 ათ. ლარით და განისაზღვრა 57.0 ათ. ლარით; ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 91 მუხლის მე-5 ნაწილისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად წარმოგიდგენთ სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად რიგგარეშე სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

(მომართვის N 62-622234362, 09/12/2022 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-632234311-63, 09/12/2022 წ.**)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია.

4. **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 12 დეკემბრის** N 62-62223463 , წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხს.

ცვლილების შედეგად, ,,საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ'', საქართველოს კანონის პროექტისა და ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ'', საქართველოს კანონის მიხედვით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების, პროფესიული საჯარო მოხელეების,

ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრება გაზრდილი ოდენობით.

(მომართვის N 62-62223463 , 12/12/2022 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-6322346001-63 12/12/2022 წ.**)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიებად ერთობლივად განისაზღვა საფინანსო-საბიუჯეტო და იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიები.

5. **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 12 დეკემბრის** N 62-622234675 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის თერთმეტი თვის შესრულებას და შესრულების ანალიზს თანდართული ფორმების მიხედვით.

(მომართვის N 62-622234675, 12/12/2022 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-63223463-63 12/12/2022 წ.**)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი